

საერთაშორისო ურთიერთობის  
სამსახურის დებულება



New University

---



## თავი I

### ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1.

ეს დებულება განსაზღვრავს შპს „ნიუ უნივერსიტი“-ს (შემდგომში - უნივერსიტეტი) (შემდგომში - უნივერსიტეტი) საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის (შემდგომში სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

#### მუხლი 2.

სამსახური, როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული მოქმედებს უნივერსიტეტის **მისიის აღსრულების ფარგლებში**, რომლის თანახმადაც „ნიუ უნივერსიტი“ ინოვაციებსა და თანამედროვე სწავლების მეთოდებზე ორიენტირებული უნივერსიტეტია, რომლის მისიაა ახალი სიტყვა თქვას საქართველოში და რეგიონში სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაში, ხელი შეუწყოს კრეატიულობასა და ინოვაციურობას, ურთიერთპატივისცემის პრინციპების ჩამოყალიბებას, განუვითაროს სტუდენტებს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, აღჭურვოს ისინი პრაქტიკული უნარებით. „ნიუ უნივერსიტი“ ხელს უწყობს მობილობასა და ინტერნაციონალიზაციას, ქმნის ისეთ გარემოს, სადაც თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროება გათვალისწინებულია. მაღალი ხარისხის მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებით ხელს უწყობს საზოგადოების ინტელექტუალურ, კულტურულ და პიროვნულ ზრდას.



### მუხლი 3.

1.სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ამ დებულებით, უნივერსიტეტის დებულებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი შიდა დოკუმენტებით.

2.სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის და **რექტორის III მოადგილის** წინაშე და ასრულებს მათ მითითებებსა და დავალებებს.

### თავი II

#### სამსახურის ძირითადი მიზნები, ამოცანები, ფუნქციები და უფლებამოსილება

### მუხლი 4. სამსახურის მიზნები

1.ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის როლის გაძლიერების გზით. სამსახურის სტრატეგიული ხედვიდან გამომდინარე, პრიორიტეტულ მიზნებს წარმოადგენს საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაცვლით პროექტებში მონაწილეობის გაზრდა და საერთაშორისო ქსელებში უნივერსიტეტის როლის გაძლიერება.

### მუხლი 5. სამსახურის ამოცანები

1. სამსახურის ამოცანაა უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მხარდაჭერა.

2. უნივერსიტეტის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, სამსახური კოორდინირებას უწევს სწავლისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის აქტივობებს და ხელს უწყობს



უნივერსიტეტის ცნობადობისა და ავტორიტეტის ზრდას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

3. სამსახური საკუთარი ამოცანების განხორციელების მიზნით განსაზღვრავს საკუთარ ფუნქციებს

## **მუხლი 6. სამსახურის ფუნქციები**

სამსახურის საქმიანობა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

1. **ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიისა და მხარდაჭერი პროცესების კოორდინირება**

- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება უნივერსიტეტის ზოგადი სტრატეგიის მიზნების შესაბამისად, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა, შესაბამისი აქტივობების კოორდინირება და მონიტორინგი.

2. **საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა და საერთაშორისო დონეზე უნივერსიტეტის ავტორიტეტის ამაღლება** -

საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, კვლევით ინსტიტუტებთან, სამეცნიერო ცენტრებსა და ტექნო-პარკებთან კავშირების ჩამოყალიბება და განვითარება; საერთაშორისო ასოციაციებსა და ქსელებში უნივერსიტეტის გაწევრიანება და უნივერსიტეტის როლის გაზრდა; ურთიერთობა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებთან, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, სხვ.; საერთაშორისო რანჟირების სისტემებში უნივერსიტეტის ჩართულობის ხელშეწყობა.

3. **უცხოელი სტუდენტების რეკრუტირება და მხარდაჭერა** - პოტენციური სტუდენტების

მოზიდვის / მარკეტინგის კამპანიის წარმოება; საერთაშორისო ვიზიტების განხორციელება (მონაწილეობა გამოფენებში, პრომო ტურები, ვიზიტები სკოლებში, შეხვედრები აგენტებთან); თანამშრომლობა უცხოელ აგენტებთან დაელექტრონული პორტალებთან; საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურის კოორდინირება



და საქართველოში ჩამოსვლის ფასილიტაცია; კულტურული ინტეგრაციის ღონისძიებების ორგანიზება; საერთაშორისო სტუდენტების მხარდაჭერა სწავლის პერიოდში.

**4. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, თანამშრომელთა, მკვლევართა და სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა** - საერთაშორისო გაცვლების შესაძლებლობების შექმნა; გაცვლითი პროგრამების კოორდინირება; საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურება; სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერის სერვისების შეთავაზება.

**5. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა** - უნივერსიტეტის ფაკულტეტებთან და ადმინისტრაციულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობა სასწავლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მიზნით, რაც გულისხმობს როგორც ახალი ინგლისურენოვანი პროგრამების განვითარებას, ასევე საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით ერთობლივი ან ორმაგი ხარისხის პროგრამების დანერგვას, პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის მიღებას, და ა.შ.; უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების მოზიდვა და მხარდაჭერა.

**6. კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა** - კვლევაზე ორიენტირებული თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და პროექტების განვითარების ხელშეწყობა; უნივერსიტეტის პერსონალის ინფორმირება სხვადასხვა საერთაშორისო კვლევითი გრანტებისა და სტიპენდიების შესახებ; უცხოელი მკვლევრების ვიზიტების ორგანიზებაში დახმარება; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასპინძლობა/ორგანიზება უნივერსიტეტში.

**7. უნივერსიტეტში მულტიკულტურული და მრავალფეროვანი გარემოს შექმნა** - საერთაშორისო მნიშვნელობის შეხვედრების, საჯარო ლექციების, ვორქშოპებისა და სხვადასხვა კვლევითი და საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება;



საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო დაწესებულებების დელეგაციების მიღება; უნივერსიტეტის საზოგადოების ინფორმირება სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობების შესაძლებლობების შესახებ; ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი საერთაშორისო პროექტების განვითარება / განხორციელება.

## მუხლი 7. სამსახურის უფლებამოსილება

1. დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებისას სამსახური უფლებამოსილია:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოამზადოს ხელშეკრულებები, მემორანდუმები, წერილის პროექტები და სხვა დოკუმენტები;

ბ) მოამზადოს უნივერსიტეტში შემოსული კორესპოდენციაზე შესაბამისი პასუხი;

დ) გამოითხოვოს და გასცეს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისგან საჭირო დოკუმენტაცია;

ე) მოამზადოს სამსახური ყოველწლიური ბიუჯეტის და სამსახურის საქმიანობის რეპორტი;

ვ) ისარგებლოს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით დადგენილი წესის შესაბამისად.

## თავი III

### სამსახურის სტრუქტურა, ხელმძღვანელობა და თანამშრომლები

## მუხლი 8

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის III მოადგილის წინაშე.



2.სამსახურის უფროსის არყოფნის ან/და ამ პოზიციაზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში რექტორის III მოადგილე იღებს გადაწყვეტლებას სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის შესახებ.

3.სამსახურის შემადგენლობაში შედიან სპეციალისტები, კონსულტანტები/კოორდინატორები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი. ისინი ანგარიშვალდებულნი არიან სამსახურის უფროსის წინაშე. მათი ფუნქციები დაკონკრეტებულია მათთან გაფორმებული შრომითი კონტრაქტითა და სამუშაო აღწერილობით.

## მუხლი 9

1. სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

ბ)პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

ბ)ანაწილებს ფუნქციებს სამსახურის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ შესაბამის მითითებებს და დავალებებს;

გ) აკონტროლებს სამსახურის თანამშრომლების მიერ ფუნქციების შესრულებას;

დ)პერიოდულად სამსახურის თანამშრომლებისგან ისმენს ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;

ე)საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ავიზებს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს;

ვ) ანაწილებს სამსახურში შემოსულ კორესპონდენციას;



ზ) უნივერსიტეტის რექტორის III მოადგილეს წარუდგენს სამსახურის საქმიანობის შესახებ ანგარიშს;

თ) უნივერსიტეტის რექტორის III მოადგილეს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის სახელით გასცემს დასკვნებს;

კ) შუამდგომლობს სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;

ლ) წარმოადგენს სამსახურს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

მ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

## თავი IV

### დასკვნითი დებულებები

#### მუხლი 10

1. სამსახურის დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.
2. სამსახურის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.